დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 39 08
24/09/2021

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია" დანართი N1-ის შესაბამისად.

2.დამტკიცდეს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა დანართი N2-ის შესაბამისად.

3.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი

2021-2023 წელი

დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია

1. შესავალი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის" (შემდგომში „სტრატეგია") მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდობის წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის:

- ხედვას;
- საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვას;
- შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში;

სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებულ იქნას სასკოლო ასაკის ბავშვებზეც.

„ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში."[1]

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ.

სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად მართვას.

---

[1] 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ)

2. ზოგადი ინფორმაცია

დმანისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონს მიეკუთვნება. მისი ფართობია 119,880 ჰა. მოსახლეობის 65% ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, 33% ეთნიკურად ქართველი.

მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი და 57 სოფელი (16 ადმინისტრაციული ერთეული). მაღალმთიანი სტატუსით სარგებლობს მთლიანი მუნიციპალიტეტი:

1. ქ. დმანისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – ქ. დმანისი);
2. ამამლოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ამამლო, ანგრევანი, ბეზაქლო, მამიშლო, საფარლო, ტყისპირი);
3. განთიადის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: განთიადი, ჯავახი, ტნუსი);
4. გომარეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გომარეთი, მამულო, კაკლიანი (ქართული), ქცია);.
5. გუგუთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გუგუთი, კამიშლო, ლოქჭანდარი);
6. დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: დიდი დმანისი, ბოსლები, ვარდისუბანი, პატარა დმანისი);
7. დმანისის თემის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: იაღუფლო, შინდლარი, პანტიანი);
8. ირგანჩაის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ირგანჩაი);
9. იფნარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: იფნარი, დაგარახლო, ყიზილაჯლო, ორმაშენი, ბახჩალარი, საჯა);
10. კამარლოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: კამარლო, შახმარლო, ქარიანი);
11. მაშავერას ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მაშავერა, უკანგორა);
12. ოროზმანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, დალარი, ვაკე, მთისძირი);
13. საკირეს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: საკირე, გორა);
14. სარკინეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სარკინეთი, ველისპირი, განახლება);
15. ყარაბულაღის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზემო ყარაბულაღი, ახა, ქვემო ყარაბულაღი, ძველი გოდაგდაგი, ახალი გოდაგდაგი, მამიშლარი, პირველი სალამალეიქი, მეორე სალამალეიქი, სოგუთლო, უსეინქენდი);
16. ყიზილქილისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ყიზილქილისა, კაკლიანი (აზერბაიჯანული).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების[2] მიხედვით დმანისის მუნიციპალიტეტში 15-29 წლის 3 753 ახალგაზრდა ცხოვრობს.

---

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის 15-29 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით:

	ორივე სქესი				მამაკაცი				ქალი			
	სულ	15-19	20-24	25-29	სულ	15-19	20-24	25-29	სულ	15-19	20-24	25-29
დმანისის მუნიციპალიტეტი	**19 141**	**1 286**	**1 183**	**1 284**	**9 579**	**716**	**684**	**694**	**9 562**	**570**	**499**	**590**
ქ. დმანისი	2 661	148	178	207	1 276	83	91	109	1 385	65	87	98
ამამლოს თემი	2 390	146	153	161	1 198	82	96	90	1 192	64	57	71
განთიადის თემი	1 367	83	86	93	696	47	50	53	671	36	36	40
გომარეთის თემი	719	46	23	31	359	23	17	18	360	23	...	13
გუგუთის თემი	519	44	23	41	254	23	...	22	265	21	14	19
დიდი დმანისის თემი	1 512	90	118	95	760	47	69	57	752	43	49	38
დმანისის თემი	1 146	79	72	72	576	43	38	30	570	36	34	42
სოფელი ირგანჩაი	2 014	155	122	154	1 041	81	70	90	973	74	52	64
იფნარის თემი	1 104	94	59	63	557	57	36	29	547	37	23	34
კამარლოს თემი	989	71	58	72	505	43	33	42	484	28	25	30
მაშავერას თემი	651	40	41	37	327	25	25	24	324	15	16	13
ოროზმანის თემი	1 614	122	98	107	779	62	60	52	835	60	38	55
საკირეს თემი	57	...	...	...	34	...	...	...	23	0	...	...
სარკინეთის თემი	290	24	13	13	150	14	...	...	140	...	...	...
კარაბულახის თემი	1 557	121	112	100	809	74	69	54	748	47	43	46
კიზილქილისის თემი	551	20	22	34	258	...	...	19	293	11	14	15

3. პრინციპები

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისა და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- **ახალგაზრდების მონაწილეობა:** ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებათ. შეუძლებელია, პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მათ გარეშე, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. სტრატეგიის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით

შემუშავდა, რათა მომხდარიყო დოკუმენტში მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება. სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა უზრუნველყოფილი იქნება მათი სურვილისამებრ.

- **ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა:** სტრატეგიის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები, როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- **პარტნიორობა და თანამშრომლობა:** სფეროში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობის დამყარება- სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია. სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებზეც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ გამოწვევათა და პრობლემათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით.
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა:** სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;
- **თანაბარი ხელმისაწვდომობა:** სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;
- **გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება:** სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემის, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე და მათი პარტნიორობის შედეგად, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;

- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ახალგაზრდობის კვლევა დმანისის მუნიციპალიტეტში, რომელიც ჩატარდა ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა [3];
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

სტრატეგია ეფუძნება **„2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“** მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ასევე ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

5. ხედვა

---

[3] https://youthagency.gov.ge/eedradse/2021/02/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98_2020.pdf

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. გაზრდილია შესაძლებლობები, რომ ახალგაზრდები მისდევდნენ ცხოვრების ჯანსაღ წესს

ამოცანები:

ამოცანა 1.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა და ცნობიერება გაზრდილია;

ამოცანა 1.2. გაზრდილია ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა;

ამოცანა 1.3. ახალგაზრდებში რეპროდუქციული ჯანრმთელობის შესახებ ცნობიერება ამაღლებულია.

მიზანი 2. ახალგაზრდების ეკონომიკური შესაძლებლობები გაზრდილია

ამოცანები:

ამოცანა 2.1. ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია;

ამოცანა 2.2. ახალგაზრდული მეწარმეობა მხარდაჭერილია.

მიზანი 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობა მხარდაჭერილია

ამოცანები:

ამოცანა 3.1. ახალგაზრდების მონაწილეობა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაზრდილია;

ამოცანა 3.2. ახალგაზრდების ინფორმირებულობა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ გაზრდილია;

ამოცანა 3.3. ახალგაზრდების მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში გაზრდილია;

ამოცანა 3.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი და თავისუფალი ახალგაზრდული სივრცეები;

ამოცანა 3.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდების იდეების და ინიციატივების მხარდაჭერა გაზრდილია;

ამოცანა 3.6. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მართვა გაუმჯობესებულია;

ამოცანა 3.7. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობა.

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია

ამოცანები:

ამოცანა 4.1. გაზრდილია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელება, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;

ამოცანა 4.2. ჯანსაღი და ხელმისაწვდომი საგანამანათლებლო და რეკრეაციული შესაძლებლობები შექმნილია.

7. ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1. გაზრდილია შესაძლებლობები, რომ ახალგაზრდები მისდევდნენ ცხოვრების ჯანსაღ წესს

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი/ ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 1.გაზრდილია შესაძლებლობები, რომ ახალგაზრდები მისდევდნენ ცხოვრების ჯანსაღ წესს	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, დაკავებული არიან სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობებით	20.1% 20.9% (ახალგ. კვლევა 2020)	30%

		(თითქმის ყოველდღე ან კვირაში 2-3-ჯერ)		
ამოცანა 1.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა და ცნობიერება გაზრდილია	2023	ახალგაზრდების რაოდენობა (14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში), რომლებიც ასახელებენ, რომ მათი მეგობრებიდან არავინ მოიხმარს თამბაქოსა და ალკოჰოლს	38.3% 30.9% (ახალგ. კვლევა 2020)	45%
ამოცანა 2.2. გაზრდილია ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც რამდენად ვარჯიშის, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას პრობლემურად ან ძალიან პრობლემურად აფასებენ	17.6% 43.2% (ახალგ. კვლევა 2020)	25%
ამოცანა 1.3. ახალგაზრდებში რეპროდუქციული ჯანრმთელობის შესახებ ცნობიერება ამაღლებულია	2023	ადრეული ქორწინების შემთხვევები 15-19 წლის და 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში		10%

მიზანი 2. ახალგაზრდების ეკონომიკური შესაძლებლობები გაზრდილია

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
მიზანი 2. ახალგაზრდების ეკონომიკური შესაძლებლობები გაზრდილია	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	26.6% (ახალგ. კვლევა 2020)	23%
ამოცანა 2.1. ახალგაზრდების	2023	ახალგაზრდების რაოდენობა,	12.2% 60.8%	10% 55%

კვალიფიკაცია და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია		რომლებიც თვლიან, რომ ჩვეულებრივი ახალგაზრდისთვის დასაქმება მუნიციპალიტეტში რთულია (ძალიან რთული ან რთული)	(ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 2.2. ახალგაზრდული მეწარმეობა მხარდაჭერილია	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი არიან მათი სამუშაოთი	25.6% 50.0% (ახალგ. კვლევა 2020)	30% 55%

მიზანი 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერილია

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
მიზანი 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია	2023	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დღის წესრიგში (გათვალისწინებულია ან სრულად გათვალისწინებულია)	46.4% 3.2% (ახალგ. კვლევა 2020)	55% 10%
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც არ სურთ მუნიციპალიტეტიდან წასვლა	60.6% (ახალგ. კვლევა 2020)	65%
ამოცანა 3.1. ახალგაზრდების მონაწილეობა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაზრდილია	2023	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც გასული 12 თვის განმავლობაში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტში მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ან	20.5% 11.2% (ახალგ. კვლევა 2020)	25% 15%

		ინტენსიურად იყვნენ ჩართული)		
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მათი მონაწილეობის ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევენ (აქტიურად იყვნენ ჩართული ან გავლენას ახდენდნენ გადაწყვეტილების მიღებაზე)	51.9% 10.4% (ახალგ. კვლევა 2020)	57% 15%
ამოცანა 3.2. ახალგაზრდების ინფორმირებულობა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ გაზრდილია	2022	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ მათ სამოქალაქო აქტიურობას (ძალიან აქტიური ან აქტიური)	9.4% 21.2% (ახალგ. კვლევა 2020)	15% 25%
ამოცანა 3.3. ახალგაზრდების მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში გაზრდილია	2023	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ	37.1% (ახალგ. კვლევა 2020)	41%
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მაღალი სიხშირით იყვნენ დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით ბოლო 12 თვის განმავლობაში (კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე)	22.3% 20.4% (ახალგ. კვლევა 2020)	26% 24%
ამოცანა 3.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი და თავისუფალი ახალგაზრდული სივრცეებ	2021	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც იციან, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის	20.1% (ახალგ. კვლევა 2020)	60%
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ახალგაზრდული სივრცით	14.3% 39.3% (ახალგ. კვლევა 2020)	35% 50%

		(რეგულარულად ან რამდენჯერმე)		
ამოცანა 3.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდების იდეების და ინიციატივების მხარდაჭერა გაზრდილია	2023	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის /პროექტის განსახორციელებლად	20.9% (ახალგ. კვლევა 2020)	45%
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტის დახმარებით (ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი)	27.6% 41.4% (ახალგ. კვლევა 2020)	35% 46%
ამოცანა 3.6. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მართვა გაუმჯობესებულია	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც იმ საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის, რომლებსაც ენდობიან, ასახელებენ ადგილობრივ მთავრობას და საკრებულოს	37.4% 9.7% (ახალგ. კვლევა 2020)	42% 15%
ამოცანა 3.7. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც არიან სპეციალური საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.	უცნობია	10%

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან	უცნობია	30%

განვითარება მხარდაჭერილია		ახალგაზრდულ საქმიანობაში		
ამოცანა 4.1. გაზრდილია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელება, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას	2023	სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა	0	20
	2023	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში (რამდენჯერმე ან რეგულარულად)	11.5% 39.9% (ახალგ. კვლევა 2020)	25% 50%
		ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დადებითად ამ აქტივობების ხარისხს (დადებითად ან ძალიან დადებითად)	23.2% 54.8% (ახალგ. კვლევა 2020)	32% 60%
ამოცანა 4.2. ჯანსაღი და ხელმისაწვდომი საგანამანათლებლო და რეკრეაციული შესაძლებლობები შექმნილია	2023	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით	35.6% 6.1% (ახალგ. კვლევა 2020)	45% 10%
	2023	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებით	45.7% 6.5% (ახალგ. კვლევა 2020)	55% 13%
	2023	გ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგ კურსზე, სემინარებზე ან ვორქშოპებზე ბოლო 12 თვის განმავლობაში	41.4% (ახალგ. კვლევა 2020)	50%
	2023	დ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც ბოლო 12 თვის	12.2% 26.6%	8% 22%

		მანძილზე ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც უნდოდათ დასწრება რაიმე ტიპის ტრენინგზე, სემინარზე და ვერ შეძლეს (ბევრჯერ ან რამდენჯერმე)	(ახალგ. კვლევა 2020)	

8. სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

8.1. სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სტრატეგიის განხორციელებაზე მათი საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით. ისინი გაითვალისწინებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, სერვისები და აქტივობები შესაბამისობაში იყოს სტრატეგიასთან იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არაა მითითებული სტრატეგიაში.

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

8.2. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად გამოაქვეყნებს საჯარო ანგარიშს სტრატეგიის განხორციელების შესახებ;
- პერიოდულად ჩატარდება კვლევა იმ პროგრესის შეფასების მიზნით, რომელიც სტრატეგიის განხორციელების შედეგად დადგება;

• არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდული საბჭო მოწვეული იქნებიან, რომ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის განხორციელების შესახებ ანგარიშების მომზადებაში;

• შეიქმნება მუდმივმოქმედი პლატფორმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის თანამშრომლობისთვის;

• არსებული შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება და მასში შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანა.

დანართი N2

სამოქმედო გეგმა 2021-2023

მიზანი 1. ახალგაზრდებს აქვთ მეტი შესაძლებლობები ჯანსაღი წესით ცხოვრებისთვის

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 1.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა და ცნობიერება გაზრდილია				
1.1.1. საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ	12 აქტივობა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
1.1.2. თემატური ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ახალგაზრდების, ექიმების, მშობლების, პედაგოგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით	6 შეხვედრა (ორ თვეში ერთხელ) 150 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
ამოცანა 1.2. გაზრდილია ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა				
1.2.1. სპორტული სექციების და წრეების მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა	- დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით; - გაიხსნება ერთი წრე (რაგბი)	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
1.2.2. სპორტული ღონისძიებების და შეჯიბრებების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა, სპორტული	- პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი

კვირეულებისა და ფესტივალების ორგანიზება	ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; - 12- 15 სპორტული ღონისძიება			
1.2.3. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების შექმნა (ველობილიკები, ტრენაჟორები და ა.შ.) ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად	- 3 სპორტული მინი მოედანი, 1 სპორტულ - რეკრეაციული ზონა.	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი/ დონორული დაფინანსება
ამოცანა 1.3. ახალგაზრდებში რეპროდუქციული ჯანრმთელობის შესახებ ცნობიერება ამაღლებულია				
1.3.1. საინფორმაციო კამპანიები ორგანიზება რეპროდუქციული ჯანრმთელობის, მათ შორის ნაადრევი ქორწინების, შესახებ	- წელიწადში 2 ჯერ ჯანდაცვის ცენტრის ჩართულობით, ჩაერთვება 200 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
1.3.2. ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ახალგაზრდების, ექიმების, მშობლების, პედაგოგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით	- წელიწადში 2 ჯერ; 200-400 ახალგაზრდა.	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
1.3.3. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის გაძლიერება ნაადრევი ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი და დროული რეაგირებისთვის	- არსებული შემთხვევები განახევრდება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

მიზანი 2. ახალგაზრდების ეკონომიკური შესაძლებლობები გაზრდილია

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 2.1. ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია				
2.1.1. მოთხოვნადი პროფესიების შესახებ კვლევა და ახალგაზრდების შემდგომი კონსულტირება	- ჩატარებულია კვლევა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2022-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

	პროფესიების შესახებ; - 150 ახალგაზრდა			
2.1.2. ახალგაზრდების სტაჟირების ხელშეწყობა კერძო სექტორთან თანამშრომლობის საშუალებით	5-15	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.1.3. სტაჟირების პროგრამების შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში	- 2-10	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.1.4. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ახალგაზრდებისთვის	-ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომოგას პრობლემურად ან ძალიან პრობლემურად აფასებენ 15.8% და 48.9% (ახალგ. კვლევა 2020) შემცირებულია (10 % და 40%)	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 2.2. ახალგაზრდული მეწარმეობა მხარდაჭერილია				
2.2.1. სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების წყაროებისა და შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება	- საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით ინფორმაციას მიიღებს 150 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
2.2.2. ახალგაზრდების მხარდაჭერა სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად	100 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი

მიზანი 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობა მხარდაჭერილია

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**

ამოცანა 3.1. ახალგაზრდების მონაწილეობა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაზრდილია				
3.1.1. წარმომადგენლობითი ახალგაზრდული საბჭოს შექმნა	- ოფიციალურად შექმნილია და დამტკიცებული დებულების შესაბამისად მოქმედებს ახალგაზრდული საბჭო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო / საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.1.2. ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვა ახალგაზრდული საბჭოს ჩართულობით	- მომზადებული და დამტკიცებულია ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო / საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.1.3. ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისა და საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის კუთხით	-ტრენინგების საშუალებით ახალგაზრდობის 30 %	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.1.4. ახალგაზრდების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების დანერგვა და ახალგაზრდებთან საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება	- 30-40 შეხვედრა, ახალგაზრდობის 30 %	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
ამოცანა 3.2. ახალგაზრდების ინფორმირებულობა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ გაზრდილია				
3.2.1. ინტერნეტ პლატფორმის შექმნა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების ,თანამედროვე ტენდენციებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით	- შექმნილია ინტერნეტ პლატფორმა; - 1200	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.2.2. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	- 30 %	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
ამოცანა 3.3. ახალგაზრდების მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში გაზრდილია				

3.3.1. მოხალისეობის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიებისა და მოხალისეობრივი პროგრამების გზით	- 1500-2000 / 20 – 40 მდე ღონისძიება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.3.2. ახალგაზრდების მოხალისეობრივი ჩართვა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში, ასევე სხვა ღონისძიებებშიც მათ შესახებ ინფორმირების გზით	- 1500 – 2000 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 3.4. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი და თავისუფალი ახალგაზრდული სივრცეები				
3.4.1. მუნიციპალიტეტის დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებში თავისუფალი და ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეების შემქნა	- ახალგაზრდული სივრცე გახსნილია მუნიციპალიტეტის დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებში	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.4.2. ახალგაზრდული სივრცეების მართვა ახალგაზრდებისა და კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების მიერ	- უზრუნველყოფილია ახალგაზრდების მონაწილეობა ახალგაზრდული სივრცეების მართვაში; - ყველა ახალგაზრდულ სივრცეში მუშაობს მინიმუმ 1 ახალგაზრდული მუშაკი;	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრრდობის სააგენტო	2021-2023	დონორული დაფინანსება
ამოცანა 3.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდების იდეების და ინიციატივების მხარდაჭერა გაზრდილია				
3.5.1. ონლაინ-პლატფორმის შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, განათავსონ საკუთარი იდეები და ინიციატივები და მოიპოვონ სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობის	- ფუქნციონირებს ონლაინ-პლატფორმა; - მხარდაჭერილია სულ მცირე 10	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

ორგანოებიდან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან	ახალგაზრდული ინიციატივა			
3.5.2. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სამუშაო სივრცით	- ფუნქციონირებს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი სამუშაო სივრცე	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2023	დონორული დაფინანსება
ამოცანა 3.6. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მართვა გაუმჯობესებულია				
3.6.1. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდა ახალგაზრდობის საკითხებზე	- 10 -15 შეხვედრა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.6.2. კვლევების ჩატარება ახალგაზრდების მდგომარეობისა და მათი საჭირობებისა და ინტერესების დადგენის მიზნით	- 3 კვლევა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
3.6.3. ყოველწლიური მუნიციპალური ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება ახალგაზრდული სექტორის მონაწილეობით, გაწეულ სამუშაოზე ანგარიშგების, შეფასებისა და კოორდინირების მიზნით	- ჩატარებულია 3 ახალგაზრდული ფორუმი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.6.4. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა და მათი ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში	- 50 % - არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით მოქმედებს პლატფორმა სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 3.7. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობა				
3.7.1. სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და	10-15	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისება				
3.7.2. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობით	50-70 ღონისძიება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**
ამოცანა 4.1. გაზრდილია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელება, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას				
4.1.1. ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება და სერტიფიცირება	მერიის თანამშრომელი, აიპის თანამშრომელი, მოქალაქე	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია / ახალგაზრდობის სააგენტო	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
4.1.2. ახალგაზრდებზე მორგებული და მათი ინტერესების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის და არაფორმალური განათლების პროგამრების რაოდენობის და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა	- პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; -10 ახალგაზრდა 500-1000	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
ამოცანა 4.2. ჯანსაღი და ხელმისაწვდომი საგანამანათლებლო და რეკრეაციული შესაძლებლობები შექმნილია				
4.2.1. ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული და გასართობი ინფრასტრუქტურის შექმნა (ბანაკები, ტურისტული ბილიკები, სალაშქრო მარშრუტები და სხვ.)	- დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; -ბანაკები;	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი

	სალაშქრო მარშუტები; ბანაკები			
4.2.2. ახალგაზრდებისთვის გართობის, დასვენების, კულტურულ-შემოქმედებითი საქმიონობის შესაძლებლობებისა და მათ ხელმისაწვდომობის გაზრდა	- პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; 10-15 პროგრამა 500-1000 ახალგაზრდა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
4.2.3. ახალგაზრდების ჩართვა ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებებში	- პროგრამების დაგეგმვა ხდება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელება - მათი ჩართულობით; 30-35 პროგრამა 100-500	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2023	ადგილობრივი ბიუჯეტი